2020-2021 სასწავლო წლის
მაგისტრატურის მისაღები მოთხოვნები <u>კოლოკვიუმში</u>

პროგრამა - კომპოზიცია

თუ სამაგისტრო პროგრამაზე „კომპოზიცია“ აბარებს, პირი, რომელიც არის სხვა სპეციალობის ხელოვნების ბაკალავრი, ინიშნება დამატებითი ზეპირი გამოცდა - კოლოკვიუმი, სადაც აბიტურიენტი გამოიცდება შემდეგ დისციპლინებში: საკრავთმცოდნეობა, პარტიტურის კითხვა.

საკრავთმცოდნეობა:

1. სიმფონიური ორკესტრი. პარტიტურა.
2. ინსტრუმენტული ჯგუფების განლაგება ორკესტრში.
3. საორკესტრო ჯგუფების ზოგადი მიმოხილვა
4. ხემიან საკრავთა ჯგუფი (ვიოლინო, ალტი, ჩელო, კონტრაბასი)
5. ხის ჩასაბერ საკრავთა ჯგუფი: ფლეიტა, პიკოლო, ალტის ფლეიტა, ბლოკ ფლეიტა; ჰობოი, ინგლისური ქარახსა, ჰობოი დ’ამური; კლარნეტი, ბანის კლარნეტი; საქსაფონების ჯგუფი; ფაგოტი, კონტრაფაგოტი;
6. ლითონის ჩასაბერ საკრავთა ჯგუფი: ვალტორნა, საყვირი, ტრომბონი, ტუბა.
7. დასარტყამ საკრავთა ჯგუფი. სიმაღლის მქონე საკრავები: ლიტავრები, ქსილოფონი, მარიმბაფონი, დიდი ზარები, პატარა ზარები. სიმაღლის არმქონე საკრავები: დაფდაფი, სამხედრო დაფდაფი, დიდი დაფდაფი, თეფშები, კასტანეტები, სამკუთხედები, ხის ბლოკები, ტამ-ტამი.
8. გამოსაკრავი სიმებიანი საკრავები: არფა, გიტარა.
9. კლავიშიანი საკრავები: ფორტეპიანო, ორგანი, ჩელესტა

პარტიტურის კითხვა

1. ერთი კლასიკური და ერთი რომანტიკული მუსიკის პერიოდის, წინასწარ მომზადებული ორი პარტიტურის შესრულება;
2. ბაროკოს ან კლასიკური პერიოდის ერთი პარტიტურის ფურცლიდან წაკითხვა.

გარდა ამისა, აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს სხვადასხვა შემადგენლობისთვის შექმნილი რამდენიმე (არანაკლებ ოთხისა) განსხვავებული ფორმისა და ჟანრის ნაწარმოები (მცირე ფორმა, ვარიაციული, სონატური, ფუგირებული /სავალდებულოა/ და ა.შ.).

კოლოქვიუმის წარმატებით გავლის შემთხვევაში აბიტურიენტი დაიშვება სპეციალობის შემოქმედებით ტურზე.